ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის

ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტი

დებულება

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტი (შემდგომში ლუკ) არის კოლეგიალური ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის პროფესორები და მკვლევარები.
2. ლუკ-ს დანიშნულება არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე არსებული კვლევითი და სასწავლო ლაბორატორიების უსაფრთხოების წესების მონიტორინგი, რაც მოიცავს

ა) ლაბორატორიული უსაფრთხოების ინსტრუქციის ყოველწლიურ გადახედვას;

ბ) ლაბორატორიული უსაფრთხოების შენარჩუნებასა და გაძლიერებისთვის გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას;

გ) ლაბორატორიული უსაფრთხოების შენარჩუნებასა და გაძლიერებისთვის შესასყიდი ინვენტარის ან სერვისის საჭიროების დადგენას და ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის მიწოდებას;

დ) ფაკულტეტის სასწავლო ლაბორატორიების პერიოდულ მონიტორინგს;

3. *საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტის კოორდინაცია.*

ა) ლაბორატორიული უსაფრთხოების ნორმების დარღვების აღმოჩენის შემთხვევაში, კომიტეტი მიმართავს ლაბორატორიაზე პასუხისმგებელ პირს დარღვევის აღმოფხვრის მოთხოვნით.

ბ) იმ შემთხევავაში, თუ უსაფრთხოების ნორმების დაცვა მოითხოვს დამატებითი ინვენტარის ან სერვისის შეძენას, მისი შეძენის საჭიროება განიხილება კომიტეტის სხდომაზე და ოქმის სახით მიეწოდება ფაკულტეტის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისთვის.

4. ლუკ-ს შემადგენლობაში შედიან:

1. ასოც. პროფ. ეკატერინე თევდორაძე
2. ასოც. პროფ. თამარ ბარბაქაძე
3. ასოც. პროფ. თამარ ბასიშვილი
4. პროფ. ქეთევან კუპატაძე
5. ასოც. პროფ. ივანე აბიათარი
6. ასოც. პროფ. მარინე მურცხვალაძე
7. ასისტ. პროფ. ლევან ნავროზაშვილი

5. ლუკ გადაწყვეტილებებს იღებს საგანგებოდ მოწვეულ სხდომებზე კონსენსუსის სახით. ლუკ-ის დებულება და შემადგენელობა მტკიცდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით და შესაძლებელია განახლდეს ყოველწლიურად ან საჭიროების შემთხვევაში.